საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №6/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- და -- -- 2019 წლის 14 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 13 მარტის №6/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე დაჩქარებულ ვადებში განიხილავდა მოსარჩელე მხარის განცხადებებს, ხოლო მათ მიერ 2018 წლის 12 ოქტომბერს წარდგენილი საჩივარი -- სააპელაციო სასამართლოში 2018 წლის 3 დეკემბერს შევიდა, თითქმის ერთი თვის დაგვიანებით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 29 ივნისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ხელშეკრულების დადების ფაქტის დადგენის თაობაზე. 2018 წლის 20 აგვისტოს მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2018 წლის 20 სექტემბერს მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ითხოვა. 2018 წლის 21 სექტემბრის განჩინებით დაზუსტებული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი. 2018 წლის 26 სექტემბერს მოსარჩელე მხარემ სასამართლოში წარადგინა განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ.

2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებით -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო -- -- საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებებს.

2018 წლის 12 ოქტომბერს მოპასუხე მხარემ საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებაზე და მისი გაუქმება ითხოვა. 2018 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

2018 წლის 2 ნოემბრის განჩინებით -- -- წარმომადგენლის საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს.

2.2. სააპელაციო სასამართლოში საქმე გაიგზავნა 2018 წლის 29 ნოემბერს. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 დეკემბრის განჩინებით საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

2019 წლის 16 იანვრის განჩინებით -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინება და ამ განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება; ყადაღა მოეხსნა, -- -- საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებებს.

2019 წლის 26 თებერვლის განჩინებით -- -- წარმომადგენელს უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. 2019 წლის 27 თებერვალს მოსარჩელის წარმომადგენელმა საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2019 წლის 26 თებერვლის განჩინებაზე.

2019 წლის 11 მარტის განჩინებით -- -- წარმომადგენლის -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2019 წლის 26 თებერვლის განჩინების გაუქმების თაობაზე, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს.

2.3. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ასევე უმნიშვნელოვანესია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2017 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 1,597 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 882 საქმე (55%), ხოლო 2018 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 1,452 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 920 საქმე (63%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 13 მარტის დასკვნა:

-- -- და -- -- 2019 წლის 14 იანვრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი

პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივარი ეხება ასევე მოსამართლის მიერ საჩივრის სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის ვადის დარღვევას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის ან დაყადაღებული ქონების გამიჯვნაზე თანხმობის შესახებ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა. განჩინების გასაჩივრების ვადა 5 დღეა. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან.

ამავე კანონის 197[1] მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს.

საქმის მასალების გამოკვლევის შედეგად დგინდება, რომ მოსამართლემ განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ მიიღო 2018 წლის 2 ნოემბერს. საქმე სააპელაციო სასამართლოში გაიგზავნა 2018 წლის 29 ნოემბერს, 22 დღის დაგვიანებით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება, ხოლო ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისათვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

აღნიშნული პერიოდი არ წარმოადგენს ისეთ ვადას, რომლისთვისაც მიზანშეწონილად შეიძლება იქნეს მიჩნეული მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა. შესაბამისად, ვადის დარღვევის

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

უმნიშვნელო ხასიათის გამო და მოსამართლის დატვირთულობის გათვალისწინებით, საქმის გაგზავნის პერიოდი ვერ ჩაითვლება არაგონივრულ ვადად.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №6/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი